მეტყველება და კომუნიკაცია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან

იაგოდა გრაბსკა
ნეუროლოგოპედი
აუტიზმის მქონე პირთა თერაპევტი

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მეტყველება და კომუნიკაცია

- ASD (აუტისტური სპექტრი)– დახასიათება.
- კომუნიკაცია– ტერმინოლოგია.
- ბავშვის მეტყველების განვითარება.
- კომუნიკაციის დარღვევები ASD-ის მქონე ბავშვებთან. ASD-ის მქონე ბავშვთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

სოციალური კომუნიკაცია ASD-ის მქონე ბავშვებთან.

- როგორ შევუწყოთ ხელი ASD-ის მქონე ბავშვის კომუნიკაციის განვითარებას?

„კომუნიკაცია არის უნარჩვევა, რომელიც
დასწავლის შედეგად ვითარდება. ეს იგივეა, რაც სიარული ველოსიპედით, ან ბეჭდვა

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe” (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

საბეჭდ მანქანაზე.
თუ მასზე კარგად იმუშავებ, შეგეძლება შენი ცხოვრების თითოეული ნაწილის ხარისხი გააუმჯობესო”.
- Brian Tracy -

ASD

აუტისტური სპექტრის აშლილობები, რთული ეთიოპათონოგეზის მქონე ნეუროგანვითარების აშლილობათა ჯგუფს მიეკუთვნება. უკავშირდება გარკვეული უნარჩვევების შეძენისა და გამოყენების სირთულეებს. **ASD** *(ang. autism spectrum disorder)* ხასიათდება სოციალური კომუნიკაციისა და საზოგადოებრივი ინტერაქციის სფეროს დარღვევებით,
ასევე შეზღუდული და პერმანენტული ქცევის მოდელით, ინტერესებითა ან საქმიანობით.

კომუნიკაცია

ინტერპერსონალური კომუნიკაცია *(ang. interpersonal commucation)* არის კონტაქტი ადამიანებს შორის, რომელიც პიროვნებათა შორის ინფორმაციის გადაცემასა და მიღებას ემყარება
– <u>გადამცემი და მიმღები (ადრესატი) ვერბალური და არავერბალური კოდის გამოყენებით.</u>

ვერბალური კომუნიკაცია

მეტყველებაზე დაფუძნებული/ ვერბალური კომუნიკაცია *(ang. verbal communication)* არის კომუნიკატის (შეტყობინების/ გზავნილის) გადაცემა ენის/ მეტყველების გამოყენებით.
ვერბალურ კომუნიკაციად მიიჩნევა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი მეტყველება (კრესპონდენცია/ მიმოწერა) ასევე აქტიური მოსმენაც.

არავერბალური კომუნიკაცია

არავერბალური კომუნიკაცია *(ang. non – verbal communication)* არის არასიტყვიერი კომუნიკაცია, რომელიც ხშირად ახლავს მეტყველებას და ავსებს მას, ზოგჯერ კი ანაცვლებს კიდეც. მოიცავს მიმიკებს, ჟესტიკულაციას, ხმოვან და სივრცით ელემენტებს.
პირველად ვითარდება არავერბალური კომუნიკაცია, <u>მას ეფუძნება საზოგადოებრივი ინტერაქციისა და ვერბალური კომუნიკაციის შემდგომი განვითარება</u>.

კომუნიკაციის განვითარების ეტაპები

- სპონტანური ქცევები,

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.
Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe” (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

- ინტენციონალური (განზრახული) ქცევები,
- ინტენციონალური კომუნიკაცია,
- სიმბოლური კომუნიკაცია.

ბავშვის მეტყველების განვითარება

მეტყველება *(ang. speech)* ადამიანის უნარია დაამყაროს კავშირი თავის გარემოსთან სამეტყველო აპარატის გამოყენებით. შედგება ენისაგან, მეტყველებისგან, გაგების უნარისა და ტექსტისაგან. **ბავშვის მეტყველების განვითარება, მოიცავს პერიოდს მისი ენის ფორმირების დასაწყისიდან, მეტყველების სრულად ათვისებამდე**. მეტყველების თერაპიის თეორიის მიხედვით, ეს არის პერიოდი დაბადებიდან, შვიდ წლამდე და იგი ოთხი ეტაპისგან შედგება Kaczmarek 1966).

ბავშვის მეტყველების განვითარება

მეტყველების განვითარების ეტაპები:

- მელოდიური პერიოდი (1 წელი),
- ფრაზიოლოგიური პერიოდი (1-2 წელი),
- წინადადებების პერიოდი (2-3 წელი),
- თავისუფალი ბავშვური მეტყველების პერიოდი (3-7 წელი).

ბავშვის მეტყველების განვითარება

მეტყველების ნორმატიული განვითარების პერიოდი კომუნიკაციის პერსპექტივიდან შეგვიძლია შემდეგ სტადიებად დავყოთ:

- **მეტყველებამდელი სტადია** (ჩვილობა)9დან 12 თვემდე,
- **და მეტყველებაზე დაფუძნებული** (ადრეულ-ბავშვური) კომუნიკაციის სტადია 9დან- 12-36 თვემდე,
- **II მეტყველებაზე დაფუძნებული (საშუალოდ-ბავშვური) კომუნიკაციის სტადია** 4-დან 8 წლამდე,
- **III მეტყველებაზე დაფუძნებული (გვიანდელ-ბავშვური) კომუნიკაციის სტადია** 8-დან 12 წლამდე

კომუნიკაციის დარღვევები ASD-ში

კლასიფიკაცია DSM–V გამოყოფს დეფიციტებს ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაში,რომელიც საზოგადოებრივი ინტერაქციებისას შეინიშნება.
შეიძლება გამოვყოთ:

- დეფიციტები სოციალურ-ემოციურ სფეროში,
- ვერბალური და არავერბალური თვითგამოხატვის სფეროში,

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

- დეფიციტები ურთიერთობების დამყარების, შენარჩუნებისა და გაგების სფეროში.

კომუნიკაციის დარღვევები ASD-ში

კლასიფიკაცია **ICD-10-ის გაგებით**, სოციალური ურთიერთინტერაქციების ხარისხის დარღვევები შეინიშნება შემდეგ სფეროებში:

- ვიზუალური კონტაქტის, მიმიკების, სხეულის ენის არასაკმარისი გამოყენება.
- სუსტად განვითარებული თანატოლური ინტერაქციები,
- ემოციურ-სოციალური თვითგამოხატვის ნაკლებობა,
- სხვებისთვის სიხარულისა და ინტერესების სპონტანური გაზიარების მოთხოვნილების არქონა.

კომუნიკაციის დარღვევები ASD-ში

- მეტყველების განვითარების დაგვიანება, ან არქონა,
- ინიციატივისა და მოთმინების ნაკლებობა კონვერსაციული ურთიერთგაზიარების დროს,
- სტერეოტიპული და პერმანენტული (განმეორებადი) სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება
- სპონტანური მრავალფეროვნების არქონა თამაშში.

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

კომუნიკაციის დარღვევები ASD-ში

აუტისტური სპექტრის მქონე პირებს აქვთ პრობლემები კომუნიკაციასთან, რომელიც მოიცავს: მეტყველებას, არავერბალურ სიგნალებს, ინტერპერსონალური კონტაქტების დამყარების უნარჩვევას, წარმოსახვისა და სიმბოლოების გამოყენების უნარჩვევას. ასევე შეინიშნება არავერბალური სფეროს დარღვევები და მოტივაციის ნაკლებობა ინტერპერსონალურ ინტერაქციებში.

კომუნიკაციის დარღვევები ASD-ში

ყველაზე ადრე მშობლები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის სფეროში დარღვევებს ამჩნევენ ხოლმე. ასეთ დარღვევებს მიეკუთვნება:

- მეტყველების არქონა, ან დაგვიანებული განვითარება,
- მეტყველების რეგრესი/ უკუსვლა, რომელიც მეტყველების სრულ გაქრობასა, ან უფრო იშვიათ კომუნიკაციაში გამოიხატება, როგორც წესი ვლინდება 15 - 19 თვის ასაკში,
- მეტყველების განვითარების სტაგნაცია (შეჩერება/ შეფერხება).

ASD-ის მქონე ბავშვის ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების ენა არის სპეციფიკური და ტიპიური აღნიშნული აშლილობის მქონე ბავშვებისთვის. ამავედროს არის ინდივიდუალური, დამახასიათებელი მხოლოდ მისთვის.

ლიტერატურაში გამოიყენება ისეთი ტერმინი, როგორიცაა **იდიოსინკრატული ენა *(ang. idiosyncratic language).*** მასში ვლინდება ექოლალია**, ენობრივი სტერეოტიპები, არაგანვითარებადი ნეოლოგიზმები.**

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

ექოლალია *(ang. echolalia)* wg DSM – IV **ექოლალია არის ხმების, ფრაზების, წინადადებების უნებლიე გამეორება, მათი მოსმენის თანავე**. **ექოლალია (ბუნებრივი გამეორება) არის განვითარებისთვის დამახასიათებელი მოვლენა. უნდა ქრებოდეს მას შემდეგ, რაც ბავშვს 2 წელი შეუსრულდება.** თუ ამ პერიოდის შემდეგ რჩება გამოხატვის ერთ-ერთ, ან ერთადერთ საშუალებად, ეს უკვე პათოლოგიური ნიშანია. ექოლალია ახასიათებს აუტიზმის მქონე, მეტყველი ბავშვების სამ მეოთხედს მაინც (Frith 2008).

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe” (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

ექოლალია იყოფა პირდაპირ ექოლალიად, რომლის დროსაც ბავშვი პირდაპირ იმეორებს მისთვის ნათქვამ წინადადებებს და ამასთან ასპროცენტიანი სიზუსტით ინარჩუნებს იგივე გრამატიკულ სტრუქტურას და ინტონაციად, რომლის დროსაც იმეორებს მოსმენილ სიტყვას, ან სიტყვის დაბოლოებას.

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

მშობელი: „გწყურია?"

ბავშვი: „გწყურია?" – jako პასუხად „კი".

მშობელი: „ ლილე რა არის ეს"

ბავშვი: „ლილე რა არის ეს?"

მშობელი: „მოდი ჩემთან."

ბავშვი: „ჩემთან"

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

გადადებული ექოლალია , როდესაც ბავშვი იმეორებს მთლიან ტექსტებს, ლექსებს, სიმღერებს, რეკლამების შინაარსს, გამოთქმებს, რომელიც გაცილებით ადრე მოუსმენია ეი. რამდენიმე დღის, ან თვის წინ. ამასთან არ შეუძლია მათი სწორი გზითა და მნიშვნელობით გამოყენება.

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

ნეოლოგიზმები *(ang. neologisms)* დამახასიათებელია მათთვის, ვინც საკმაოდ კარგად ფლობს ენას, შეუძლია განაზოგადოს შინაარსი და ესმის ენობრივი სტრუქტურები. ბავშვის მიერ შექმნილი ახალი ფრაზები (ნეოლოგიზმები) ვლინდება ასევე მეტყველების სწორი განვითარების შემთხვევაშიც (სკოლამდელ ასაკში), მაგრამ ქრება მაშინვე, თუ სხვა ადამიანებს მათი არ ესმით. ASD-ის მქონე ბავშვებს უნარჩუნდებათ, ან ქრება გაცილებით გვიან. მათი აზრით, ნეოლოგიზმი უკეთესად აღწერს ობიექტს, ვიდრე საყოველთაოდ მიღებული ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგ. შემკეთებელი" „ხელოსანი".

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

ნიშნები

ენობრივი სტერეოტიპები*(ang. language stereotypes)* ყველაზე ხშირად ვლინდება იმგვარად, რომ ბავშვი წრეში იმეორებს ერთსა და იმავე შეკითხვას (რომელიც ფიქსაციის ობიექტთან შეიძლება იყოს დაკავშირებული) და სურს გამუდმებით იგივე პასუხს იღებდეს, ან იმეორებს რამდენიმე შეკითხვას, რომელიც ერთმანეთთან ლოგიკური ჯაჭვით არის დაკავშირებული, ამასთან პერიოდულად უბრუნდება პირველ შეკითხვას მაშინ, როცა ეს სრულიად უადგილოა.

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

ნაცვალსახელების აღრევა რომელიც აუტიზმის მქონე ბავშვების მეტყველებაში ჩნდება, მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვი ანაცვლებს ნაცვალსახელს „**მე**" სხვა ნაცვალსახელებით , მაგალითად ისეთით როგორიცაა „**შენ**", საუბრობს საკუთარ თავზე, როგორც მესამე პირზე, ან „მეს" ნაცვლად, საკუთარ სახელს იყენებს. ამრიგად ხშირად გვესმის: „შევჭამეს" ნაცვლად,
„მათემ შეჭამა/ ბიჭმა შეჭამა".

ASD-ის მქონე ბავშვების ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები

არტიკულაციის დეფექტები რომლის დროსაც აუტიზმის მქონე ბავშვთა მეტყველება არის მონოტონური, „ბრტყელი", პედანტური, წყვეტილი, სკანდირებული, აკლია თანამიმდევრულობა. ხასიათდება ჩურჩულიდან მოულოდნელად ყვირილზე გადასვლით და პირიქით. ხშირად ვლინდება მარცვლების გახანგრძლივება, მახვილის არასწორად დასმა, გადაჭარბებული არტიკულაცია, საუბრის არათანაბარი/ ცვალებადი ტემპი, შეფერხებული სუნთქვის ექსპრესია, პერსევერაციები (აჩემებულობა). მელოდია და ინტონაცია, როგორც წესი, არის იმეორებს ახლახან მოსმენილს.

სოციალური კომუნიკაცია

არავერბალურ კომუნიკაციაში:

- არავერბალური კომუნიკაციის განვითარების ნაკლებობა,
- არავერბალურ კომუნიკაციაში ფორმების არადროული გაჩენა,

არავერბალური კომუნიკაციის ნორმატიულთან მოახლოებული განვითარება,

- არავერბალური კომუნიკაციის განვითარების შეფერხება,
- რეგრესი,
- არავერბალური კომუნიკატების (გზავნილების) გაგების სფეროს დარღვევები,
- არავერბალური კომუნიკატების გადაცემის უნარის დარღვევა.

სოციალური კომუნიკაცია

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

ვერბალურ კომუნიკაციაში:
აქტიური მეტყველების განვითარების ნაკლებობა,

- კომუნიკაციის განვითარების საწყისი ეტაპების არადროული მიმდინარეობა,
- ხარისხობრივი რაოდენობრივი და პრაგმატული დარღვევები,
- საწყის ეტაპზე ვერბალური კომუნიკაციის ნორმასთან მოახლოებული განვითარება,
- მეტყველების განვითარების შეფერხება,
- მეტყველების რეგრესი,

სოციალური კომუნიკაცია

- ვერბალური კომუნიკატების (გზავნილების) გაგების უნარის დაკვეითება,
- კომუნიკაციის დარღვევები, ენობრივი სისტემის ათვისების მიუხედავად,
- ვერბალური კომუნიკატების (გზავნილების) გადმოცემის უნარის დაკვეითება.

სოციალური კომუნიკაცია

- კომუნიკაციისა და მეტყველების განვითარების პროცესში (ცხოვრების ყველა ეტაპზე) დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ყურადღების მიქცევას ორიენტირებულობას საკომუნიკაციო პარტნიორზე),
- ყურადღების საერთო ველის შექმნას,
- მონაცვლეობით ინტერაქციებს, რომლებსაც ახლავს ვერბალური და არავერბალური კომუნიკატები,
- მიმბაძველობას, თამაშს
-

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)

სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქციის ელემენტები

- **ცხოვრების საწყის ეტაპზე ბავშვები სწავლობენ: ყურადღების განაწილებას, ვიზუალური კონტაქტის დამყარებას, სახის ექსპრესიას**,
- სხეულის ენასა და ჟესტებს,
- სიახლოვეს,
- მიმბაძველობას,
- დალოდების უნარჩვევას,
- მონაცვლეობით ინტერაქციას,
- საგნების ამოცნობას,
- კომუნიკაციით სიამოვნების მიღებას.

„კომუნიკაცია ის უნარჩვევაა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვიყენებთ. შეიძლება განსხვავდებოდეს სტანდარტულისაგან, შეიძლება იყოს უჩვეულო. მთავარია იყოს ეფექტური!

- Gina Davies -

მადლობას გიხდით ყურადღებისათვის!

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)
ttri ution - NonCommercia 4.0 nternationa (CC BY-NC 4.0)